საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

განკარგულება:**გ-69. 692303719**
თარიღი:**06/02/2023**

ა(ა)იპ- სოფლის განვითარების სააგენტოსათვის დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის, ფართით 9.26 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046.01.501) და 22.04 კვ.მ (ს/კ 36.01.33.046.01.500), საერთო ფართით 31.66 კვ.მ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" 22 - ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, დაბა ხარაგაულში 9 აპრილის ქუჩა N 15-ში, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მესამე სართულზე მარცხენა ფლიგელში მდებარე ორი ოთახის, ფართით 9.26 კვ.მ .(ს/კ 36.01.33.046.01.501) და 22.04 კვ.მ (ს/კ ს/კ 36.01.33.046.01.500), საერთო ფართით 31.66 კვ.მ სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით ა(ა)იპ- სოფლის განვითარების სააგენტოსათვის გადასაცემად.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქუჩა N 7).

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი